

ლიცენზირებული საშუალო



საშუალოს მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშუალოს მოამბის“ დამატება
№11, 28 ნოემბერი, ორშაბათი, 2022 წელი

სულიერი ევოლუციის გარდამავალი საფეხური

ის, რომ სამყაროში უამრავ ცვლილებას აქვს ადგილი – ყველამ ვიცით.
ის, რომ სიხშირეების ცვლილებების ზღვარზეა ჩვენი დედამიწა და,
მასთან ერთად, ჩვენი კაცობრიობა – ამასაც უკვე ყველა ხვდება...

მაგრამ როგორ მიდის გადასვლის პროცესი? რა ხდება სამყაროში ნატიფ
და ენერგეტიკულ დონეზე?

რა ცვლილებებს აქვს ადგილი სამყაროში და ჩვენს სხეულებში?

რატომ აღიქვამენ ცხოვრებას სხვადასხვანაირად ადამიანები?

რატომ გაიყო ასე, რადიკალურად რეალობა? რა ემართება ჩვენს
ემოციებს?

არსებულ საინფორმაციო ვაკუუმში, ფაქტობრივად, ხელის ცეცებით
გვინევს გზის გაგნება, საჭირო ინფორმაციის დიდი ნვალებით მოძიება,
შემდეგ მათი ავთენტურობისა და ადექვატურობის შემოწმება-გადამოწმება
და მასზე ორიენტირება.

ვამჩნევთ თუ არა, რომ ამ ბოლო დროს სამყაროში ძალიან ბევრი
უცნაურობა ხდება?

თითქოს ჩვენ რაღაც, უცნობ, უცხო რეალობაში ვცხოვრობთ.

შესაძლოა, ჩვენს ჩვეულ გარესამყაროში არც არაფერი შეცვლილა,
მაგრამ მაინც ვგრძნობთ რაღაც, უცნაური სიმსუბუქის განცდას.

თითქოს უფრო ზედაპირულად და მშვიდად ვუყურებთ მოვლენებს,
ნაკლები შინაგანი დაძაბულობით და უფრო მეტი სიყვარულით. უფრო
მეტიც, ხანდახან, სიხარულის უცნაური გრძნობა მოდის, თითქოს არსაიდან,
უმჩვენოდ...

თუ ეს ასე ხდება, ეს არის ნიშანი იმისა, რომ ჩვენ სულ ახლახან
გადავედით უფრო მაღალი სიხშირის დროით ახალ შკალაზე... სხვაგვარად
რომ ვთქვათ, ჩვენ ავჩქარდით ახალ ვიბრაციებზე გადასვლის პროცესში,
გადავედით უფრო მაღალ, მეოთხე სიხშირეზე.

ეს ისე იგრძნობა, თითქოს გადავხტით ახალ, უფრო სწრაფად მოძრავ
ესკალატორზე. მოვლენები მიდის უფრო სწრაფად, ხოლო ამალელებელი
და სასიამოვნო სიურპრიზები თითქოს არსაიდან ჩნდება, თან, სრულიად
მოულოდნელად! და, ამ ყველაფრის გამო, ხშირად სუნთქვაც კი გვეკვირის.

თუ ხშირად ვგრძნობთ უსაფუძვლო, ძლიერ შიშს, დაბნეულობას
და სტრესს, – ესეც, ზუსტად, იმ მოვლენების დასტურია, რაც ზემოთ
აღვნიშნეთ – ჩვენ სულ ახლახან გადავედით ახალ, უფრო მაღალი სიხშირის
დროით შკალაზე...

ყველა ძველი ქცევის პატერნი, ურთიერთობა და სიტუაციები, რომლებიც
არ ვიბრირებენ ამ ახალ, მაღალ სიხშირეზე ჩვენთან თანხვედრაში ვეღარ
მოდის, ვეღარ ხდება სინქრონიზაცია. ამიტომ, ისინი ახლა თავს ავლენენ
სრული ძალით, იმისთვის რომ ჩვენ კარგად დავინახოთ, გავაცნობიეროთ
ძველი სიტუაციები, ქცევის პატერნები და საბოლოოდ გადავწყვიტოთ –
არის კიდევ რაიმე, რაც მათგან შეიძლება ვისწავლოთ? ღირს დაფიქრება!
ოღონდ, საჭირო არ არის მათში ღრმად ჩასვლა და მტკივნეული ემოციების
ხელახალი განცდა. უბრალოდ, უნდა გავიაზროთ, გამოვიტანოთ დასკვნა
და გავუშვათ...

თუ ამჟამად ჩვენს წინაშე დგას რაიმე საკითხი ან პრობლემა, ეს ნიშნავს
იმას, რომ ის უკვე წარმავალია.

ეს ყველაფერი შესაძლოა, ძნელად შესასრულებლად მოგვეჩვენოს,
მაგრამ თუ შევძლებთ შევინარჩუნოთ სიმშვიდე და მივინდოთ პროცესებს,
შეიძლება გავოცდეთ კიდევ, ისე სწრაფად გაქრება ძველი სიხშირის

პრობლემები და თემები. მაშინ, შესაძლოა, აღმოვაჩინოთ, რომ ვიმყოფებით
სრულიად ახალ ტერიტორიაზე, სადაც ენერგეტიკულად სულ სხვაგვარად
ვგრძნობთ თავს, უფრო მშვიდად, უფრო დინჯად, იმის მიუხედავად, რაც
უნდა ხდებოდეს ჩვენს გარშემო. რეალობა სხვაგვარად მუშაობს, ვიდრე
ადრე იყო.

საოცარი გზებით, მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში ადგილი აქვს უფრო მეტ
სინქრონიზაციას, ის, რაც გვესაჭიროება, უფრო სწრაფად ჩნდება ჩვენს
ცხოვრებაში, ვიდრე ადრე იყო და, ხშირად, ეს უფრო მისტიკას გვაგონებს.

ადამიანები, ვისთან შეხვედრაც გვჭირდება, საოცარი გზით ჩნდებიან
ჩვენს გვერდით და ეს იმაზე ადრე ხდება, ვიდრე ამ ყველაფრის გააზრებას
მოვასწრებთ.

ემოციები ხდება უფრო მსუბუქი, თავისუფალი...

ჩვენ უფრო მეტად ვგრძნობთ სიმშვიდეს და კეთილდღეობას, თუნდაც, ეს
ყველაფერი რეალობასთან ბმაში არც იყოს.

ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ შეიძლება ცხოვრება შეიცვალოს
ასე, რადიკალურად და ასე, სწრაფად. მაგრამ ეს ყველაფერი არ უნდა
გახდეს მიზეზი იმისა, რომ კარგად მოვკალათდეთ და „დავიძინოთ“ ამ ახალ
საფეხურზე, რადგან ყოველ ახალ გადასვლას უფრო მაღალ ვიბრაციაზე
მოსდევს არამარტო მეტი თავისუფლება, სიხარულისა და სიყვარულის
შეგრძნება, არამედ, ახალი სახის პრობლემებიც.

**ყოველ ახალ გამოღვიძებას თან მოჰყვება ახალი ტერიტორია
გამოსაკვლევა...**

ჩნდება ახალი უნარები, რომლებიც უნდა ავითვისოთ და საკუთარი
არსების ახალი მხარეები, რომლებიც უნდა გავიცნოთ.

ეს არის სულიერი ევოლუციის პროცესი, რომელიც მუდმივად ხდება.

ჩვენს მრავალწახნაგოვან, უმაღლეს „მეს“ უამრავი ასპექტი აქვს,
რომელიც ითხოვს აღმოჩენას, შესწავლას და ახალ ცხოვრებაში დანერგვას.

დროგამოშვებით შეიძლება უცნობი შეგრძნებები აღმოვაჩინოთ ჩვენს
სხეულშიც, რადგან ამ პროცესებში სხეულიც ცდილობს ფეხის აწყოებას
და ახალ ფორმატზე გადასვლას იმისთვის, რომ არ ჩამორჩეს მიმდინარე
მოვლენებს.

შეიძლება თავი ვიგრძნოთ უცნაურად, ისე, როგორც არასდროს,
მაგრამ ამავე დროს, კომფორტულად, ამოუცნობი სიხარულის ამოუხსნელი
განცდით...


ხშირად ადამიანს ესაჭიროება უფრო მეტი თავისუფლება, ძილი და
სიმშვიდე, იმისთვის რომ ახალი სახის ენერგიების ინტეგრირება მოახდინოს
საკუთარ სხეულში, მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, მიუხედავად ამ რთული
განახლების პროცესებისა, ჩვენში სიმშვიდე და აქამდე უცნობი სიხარულის
განცდა რომ ჩნდება. სიხარული ყველაზე უმნიშვნელო დეტალების გამო!

უფრო მეტი სიყვარული ჩნდება საკუთარი არსებისა და სხვების მიმართ.
მესამე სიხშირისთვის დამახასიათებელია პატერნებისგან
გათავისუფლებასთან ერთად, უფრო მეტად იხსნება ჩვენი არსების ის მხარეები,
რომლებიც ჩვენში მარადიულია, იგივე, ღვთიური არსი ჩვენში. მაგრამ ეს
ყველაფერი როდი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, ყველამ ერთდროულად უნდა
განვიცადოთ ეს ცვლილებები. ყოველი ჩვენგანი ამ ყველაფერს გაივლის
თავის დროზე, თავის რითმში!

სიხარული და სიმშვიდე გვექონოდეს ყველას ამ რთულ, გარდამავალ და
მეტად საპასუხისმგებლო პერიოდში!..



პ ი ე ზ ი ა



ნუცა ჩიკაძე

ოქტომბრისას

გუშინ ბრონეული ყვაოდა,
 დღეს შემომღიმის ლალი,
 უკვე ფოთოლცვენა თარეშობს,
 დღეები – წვიმებით მთვრალი.
 ჰოდა, შევინახავ მზის სითბოს,
 ზამთრამდე მეყოფა თითქოს...
 კალენდარს ნიავი გადაშლის,
 ნუ შემეკედლები, ფიქრო.
 მოვინევ გახლეჩილ ბრონეულს,
 მუქ ტონებს გავატან წლელს,
 ქარები, აბა, რას დააკლებს
 მუხის შეურხეველ სხეულს...

სამშობლოს რწმენა

მე ისევ მჯერა ჩემი სამშობლოს ძლიერი მკლავის,
 მის ცისქვეშეთში შესაფარებლად გაშლილი კარვის,
 ჯაფით მოვლილი თითა ყურძნის შეფარვის ქარვით,
 მწამს სწორი აზრის ჩამწერგველი იგავ-არაკის.
 ისევ ვეკრძალვი ტაძრის წირვას – დიადს და ხმიანს,
 მჯერა, ნაგლეჯებს მივაკერებთ, ადრე თუ გვიან.
 ჯავახეთის მთებს რომ ლოცავდა, მუდამ თოვლიანს,
 მე იმ ნეტარი წმინდა ნინოს სახელი მქვია...
 აქ ისევ გათბობს ნორჩ ქართველთა ცეკვა „დაისი“,
 როგორც სიამით გაზაფხულზე ტურფა მაისი.
 ჩემი სამშობლოს ფიჭვნარეთი რხევით შრიალებს
 და რკინის ჯაჭვით დაცულ ალამს კვლავ ვაფრიალებთ!
 ქართლის მეფეებს ხმალი ეპყრათ დაუძლეველი,
 შემოგვინახეს ისტორია გაუცვეთელი,
 ბევრმა ვარამმა განამტკიცა ქალი წყნეთელი,
 „სულიკოს“ ლექსებს ჩვენ გვინერდა, აქ, წერეთელი...
 მე ისევ მჯერა საქართველოს უძლეველობის,
 მისი შვილების მომავალი კეთილდღეობის,
 შეურყეველი და დაცული ჩვენი მეობის,
 დაულალავად ანთებული რწმენის ზეობის!!!

სხვა სივრცე

ცის სიბნელეში გაშლილია ვარსკვლავთა ბადე,
 ჩამონყვეტილი ვარსკვლავისთვის სურვილებს ვბადებ...
 მერე დავიჭერ თვალისმომჭრელს, ხელში ჩავიდე,
 რათა მიმზიდველ კოსმოსამდე ფრენით ავიდე.
 იქ მზე არ ჩადის, განსხვავებას ვერ ვხედავ დროში,
 და მე იისფრად ვიფერები იმ სამყაროში...
 და აელვარდა გალაქტიკის გრძელი მაქმანი,
 იქ, ვარსკვლავებით მოჭედილი ჩავიცვი ქოში.
 სიზმარში მამწყვდევს მარჯნისფერი განზომილება,
 სხვა პლანეტაზე თუ სიცოცხლე აღმოცენდება,
 კვლავ გაიღება შუაგული ორბიტის თალი,
 გასეირნება სივრცეებში კვლავ გაგრძელდება...

სატირიფეთი

იმ ტირიფებთან დავივანებდი მწუხრის გათევით,
 მდინარეში რომ დალალს იბანენ, ასე, მოხდენით
 და მის მერქანზე ამოვტიფრავდი უცხო ქარაგმას...
 სატირიფეთი მომგვირდა ღიმილს – ციალის მაგვარს.
 იმ ტირიფის ქვეშ თვალმინაბული გავეგებოდი,
 მის გრძელ ნაწნავებს თავს გუმბათად დავიხურებდი,
 ჩავიხუტებდი მზესუმზირებს და ვიხუმრებდი...
 და, უნებლიედ, წუთითაც გულს ავიჩუყებდი.
 კაემანს ქარის წისქვილის ფრთებით გავიგრილებდი
 და გარდმომავალ უხილავ წვეთებს ჩავიგონებდი.
 ავიყოლებდი მგოსანთა სტვენას და არა ერთი მომიყვებოდა,
 როგორ მომელის სატირიფეთი...

საწყალობელი

ვნატრულობთ წვეთებს ზეცის სიღრმიდან,
 აღარ ილევა საწყალობელი,
 სიმწვანე იქცა ფერფლისფერ სევდად,
 ზენას ვერ მისწვდა საგალობელი...
 უდაბნოს ველებს აჩქეფებს წყალი,
 იქ ალბათ ცოდვა ნაკლებად არის,
 იქნებ აორთქლდა მიწიდან ბრალი,
 ტირის ხმელეთი: მწყურია წყალი!
 რასაც ჩვენ ვსაქმობთ, ისე მშრალია,
 როგორც გვალვაა ქვეყნად, საწყალი,
 უნდა იკურთხოს კოკისპირული
 და განგვიბანოს ზეცა და მყარი.

ამიმღერე

ამიმღერე თაფლისფერი ვიოლინო,
 შემასმინე ტანწერწეტას ჰანგი,
 შორით ჭვრეტა, აბა, როგორ ვიმყოფინო?
 დაიფერფლა ის წითელი ვარდი.
 ერთმანეთს ჰგავს არეული ამინდები,
 წარსულს ვეძებ, შეჩვეული გარინდებით...
 რად აყვავდნენ შემოდგომით ეს იები?
 გთხოვთ, ფოთლებო, უდროოდ ნუ გაყვითლდებით...
 როგორც ბოლო ფრთაგაშლილი ფარშევანგის,
 ისე უკრავს ტანწერწეტას ჰანგი,
 ამიმღერე თაფლისფერი ვიოლინო,
 შემოდგომით წითელს კარგავს ვარდი.

ჩემთან მეგულე

ჩემთან მეგულე სულ,
 ლაღად გხედავდე, მსურს,
 რაც გაგიხარებს სულს,
 გიძღვნას ღმერთმა, რაც გსურს.
 შენთან მიგულე სულ,
 განუყრელობა გვსურს,
 ბევრი ოცნება მოჰქონდეს
 ბედნიერების რუს.
 დღემდე უწყვეტად ვაბამთ
 გულის უხილავ ბმულს,
 მუდამ იცნობდე მსურს,
 ჩემგან შენდამი თქმულს...



ლიურის ურუკელი

სიცოცხლე – უფლისგან ბოძებული საგანძური

ადამიანისთვის სიცოცხლე საუნჯეა, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება, თორემ, შეიძლება თვალის დახამხამებაში დაკარგოს. სიცოცხლე განძით სავსე სკივრს ჰგავს, რომელიც ნელ-ნელა იცლება. საკითხავია, გონივრულად ხდება მისი გამოყენება, თუ დაუდევრობით ბნელ კუთხე-კუნჭულშია მიმობნეული?.. სიცოცხლეს ყველა სათანადოდ ვერ აფასებს, ვერ ახერხებს გაამრავლოს მისი საუნჯე ისე, რომ მისმა ბზინვარებამ უსასრულობისკენ გაუნათოს ბილიკები.

ჩემი არცთუ ისე დიდი ხნის ცხოვრების მანძილზე, ბევრი სირთულე გადავლახე, მუდამ სიცოცხლისთვის ვიბრძვი...

ჩემში მტკივნეულად დაილექა ჩემი ცხოვრების ერთი ეპიზოდი, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინ მოხდა:

თებერვლის ერთ ცივ დღეს, კოვიდის გამო, აღმოვჩნდი დედაქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში. მადლობა ღმერთს, მალე მოხდა ჯანმრთელობის უკეთესობისკენ სვლა. ამგვარი დაბრკოლება ჩემთვის უცხო არ იყო და არც რაიმე განსაკუთრებული მექნებოდა მოსათხრობი, რომ არა ერთი გულსატკენი ამბავი:

ლამით, როცა სასუნთქი აპარატების ხმაურში ძილიც რთული იყო და მათზე დამოკიდებული პატარების ყურებაც, შემოიყვანეს თხუთმეტი წლის გოგონა. რადგან შირმით ვიყავით გამოყოფილი პაციენტები ერთმანეთისგან, ვერ შევძელი მისი დანახვა. თუმცა, დღემდე არ მაზინყდება მისი შემზარავი ხმა. ექიმების საუბარი გარკვევით მესმოდა. ამბობდნენ, რომ ანალიზის პასუხში რომელიღაც ნარკოტიკული ნივთიერება აღმოჩნდა. გოგონასგან სიმართლეს ვერ გაიგებდნენ. იმდენად დაუზიანდა ფსიქიკა გაუაზრებელი მოქმედებების გამო, რომ მისი სანოლზე მიბმა გახდა საჭირო. დედამისი გამალბებული ცდილობდა მის დამშვიდებას, გოგონა კი მთელი ძალით იგერიებდა ექიმებს, არყევდა სანოლს. ვერაფერს აწყობდა გამწარებული, ღირსებაშელახული მშობელი.

ბავშვები, რომლებიც იქ მკურნალობდნენ, შიშის თვალებით შესცქეროდნენ გოგონას, დიდებსაც არანაკლებ თავზარს სცემდა მისი ქმედებები, არაამქვეყნიური ღრიალი. გოგონა ვერ არჩევდა რეალობას ჰალუცინაციისგან. ვფიქრობდი, მეორე სამყაროდან გადმოსული მისი სული აფრქვევდა იმ უკმეხ სიტყვებს.

ორი დღე გვანცვიფრებდა ეს მოვლენა. პაციენტების მშობლები დაიქანცნენ. მთელი საავადმყოფო შეძრა ამ ფაქტმა. მედ-პერსონალი შეძლებისდაგვარად გვამშვიდებდა, მაგრამ უნებლიედ, მეც კანკალი ამიტანდა ხოლმე. გოგონას მიმართ ერთდროულად ბრაზითა და სიბრაღულით ვივსებოდი. ის ვერ აანალიზებდა დედამისის სიტყვებს: „რისთვის გაიხადე ასე საქმე, როგორი ნიჭი გაქვს, საოცრად ხატავ!“ დედა უშვებდა იმასაც, რომ შესაძლოა, ვილაციის მზაკვრულ გეგმას დაეზიანებინა მისი შვილის ფსიქიკა და ჯანმრთელობა. მინდოდა, მასში ამომეცნო რაიმე ნათელი და სპეტაკი. ვიმედოვნებდი, რომ ოდესმე ინანებდა ამ საქციელს, თუნდაც, სხვისი შეცდენით, და მათნაირებისგან შორს გადგებოდა.

ექიმებმა შეძლეს გოგონას სიცოცხლის საფრთხიდან გამოყვანა, რომლის საზღვარი სიკვდილთან გადიოდა. მოგვიანებით ფსიქიატრიულ განყოფილებაში გადაიყვანეს. რთული სათქმელია, ახლა როგორ აგრძელებს ცხოვრებას...

მომდევნო ღამეს პალატაში ახალი პაციენტი მოათავსეს. ისიც, ახალგაზრდა, ჩვიდმეტი წლის გოგონა. მიჭირდა იმის დაჯერება, რომ ისიც ვერ მიმხვდარიყო, რა ძვირია სიცოცხლის ფასი, რომლის თვითმკვლევლობით შეწყვეტა უცდია მედიკამენტების გადაჭარბებული დოზით. მადლობა ღმერთს, გადარჩა... მასაც ვერ ვხედავდი, თუმცა, ეტყობოდა, შეშინებული იყო უფლის საგანძურის დაკარგვის საფრთხით და მშვიდად მიჰყვებოდა ექიმების რჩევებს, უსმენდა გულნატკენ დედას.

რომ არა ვირუსი, ჩვენ ერთ პალატაში ყოფნა არ მოგვიწევდა, სადაც სიკვდილს ებრძოდნენ პატარა პაციენტები. ზოგიერთი წლობით ყოფილა ამ დანესებულებაში სასუნთქი აპარატის იმედად... არ დამავინყდება ერთ-ერთი ბიჭის მამა, საღამოობით, სამსახურიდან რომ აკითხავდა შვილს. ბავშვი გონზე არ იყო, ის კი, ტკბილი სიტყვებით, როგორც შეეძლო, უვლიდა...

ყველა, ვინც სიცოცხლეს არ უფრთხილდება, უნდა მიხვდეს, რა გააჩნია თავად და რას ესწრაფვიან სხვები, რომელთათვის სიცოცხლის თვითოეული წამი შეუფასებელია...

ზოგჯერ კომმარით მახსენდება ის დრო...

აღბათ, ესეც უნდა მენახა, – ვფიქრობ ხოლმე და უფალს მადლობას ვუძღვნი თითოეული ადამიანის სიცოცხლისთვის.

ნუცა ჩიტაძე

ერთი ლექსი

აცვივდა,
აცვივდა,
აცვივდა...
გახშირდა,
ჭოროფა
გახშირდა.
ლამაზი,
ყვითელი
ფოთლები
ხის ტოტებს
უმწეოდ
დაცვივდა.
დღემ იკლო,
დღემ იკლო
და ღამე
გაუსაძლისად
გადიდდა.
დამდევენ
ფიქრები
ფოთლების,
მეკარგვის
უნარი
მოთმენის...
იმ თოთო
ფურცლების
გაკვირტვა
იქნებ, და,
ხელახლა
არც ღირდა?
ეს გიორგობის
თვეც
გადის და...
აცვივდა,
ჭოროფაც
გახშირდა...
ცხოვრებაც
თუ ფოთოლთცვენაა,

თუ წამში
მოვწყდები
გავქრები...
იქნება,
ჩასახვაც
არ ღირდა?!
დამდევენ
ფიქრები
ფოთლების,
დღეს თუ ხვალ
მათსავით
მოვწყდები...
აცვივდა,
აცვივდა...
ხის ტოტებს
ფოთლები
ცრემლივით
დაცვივდა.
ა ც ი ვ დ ა ...

მარინა ლონლაძე



ი უ ბ ი ლ ა რ ი



გულნარა ქელიძე



გამოძინებულ ღამეს
 თვალს უპაჭუნებს დილა,
 მზე იზმორება ზანტად,
 ნამი ბალახზე ბრწყინავს.
 მთვარე დაშორდა ვარსკვლავს,
 ღრუბლის სანოლზე ფშვინავს...
 სამოცდახუთი მოჰქრის,
 მეც ფოთოლცვენით ვხვდები,
 ნოემბრის სამოსს ვიცვამ,
 ისევ, ბავშვური ფრთებით,
 ჯერ არ ბერდება გული,
 მიყვარს სილადე ფრენის...
 კვლავ ავუყვები აღმართს
 და ჩავიფიქრებ ბევრ წელს,
 მადლობას ვწირავ უფალს –
 ჩემს მაცხოვრებელ შემწეს!
 კვლავ შევაგებებ მზერას
 გაკაშკაშებულ ჩემს მზეს!

ზამთარი მოდის... ახმაურდა შემით ღუმელი,
 დარდი და ფიქრი ტკაცატკუცობს, რითი ვუშველი?
 მძლავრობს სიჩუმე, მუსიკის ჰანგს ვირჩევ სევდიანს,
 თუ მეკითხები, – გაზაფხული უფრო მერჩია.
 სხვა გზა არ არის, ამ ზამთარსაც უნდა გავუძლო,
 სუსხის სონეტებს ეს ფიქრებიც უნდა ავუნყო.
 ზამთრის სიცივეს შემორჩენილ მორჩილ ბელურებს
 ფანჯრიდან ვუცქერ, სიცივისგან გარინდებულებს.
 ... და გაზაფხულის ნატვრა როგორ მომძაღებია,
 მარტი, აპრილი... ყვავილთ თოვა მომნატრებია...
 ყინვა და სუსხი ამ სამყაროს ვერ გააცივებს,
 თუ დავათბუნებთ სულში ფერად დეკორაციებს...

სიზმრისგან დაცლილი ჩრდილები ბორგავენ,
 კარის ღრიჭოში შემოძვრა ძუნწი შუქი,
 კედელს შემოობია თრობა სიყვარულით,
 ჩუმად სარეცელზე გორდება ცრემლის ბურთი.
 ეს ღამეც დადნა და განთიადის შუქში
 სხივებს ხელით ვიჭერ, ჭრიალებს წლების კარი,
 ვეძებ გულწრფელ სიტყვებს ციურ სინათლეში,
 მლაშე საიდუმლო მიფრინავს, როგორც ფრანი.
 გიზგიზებს გრძნობების გრძნეული ღაღარი,
 გული ბაგაბუგობს ალზე მოდებული,
 ანთებულ ვარსკვლავებს იმედით შევყურებ,
 ეს დღეც მივითვალე, ღვთისგან ბოძებულ!

ოცნების ქოხი

ფერისცვალება სცოდნია ასაკს,
 გულიც თხოულობს ფერების შეცვლას,
 აგიზგიზებულ ნაკვერჩხალიდან
 ჩამონაცრებულ სიჩუმეს კეცავს...
 და ცხოვრობს გული ოცნების ქოხში,
 სად ირგვლივ მეფობს ტყის მდუმარება
 და შემოპარულ სხივთა დაშნების
 სარკმელში ჩუმად აელვარება...
 იქ, სადაც ფოთლებს გაანდობ უთქმელს,
 ისაგზლებ ლოდინს, დამდნარს წუთებად,
 აქაფებული ყავის სურნელი
 ოცნების ქოხებს რარიგ უხდება.

ღელის გაღმა ხელს მიქნევდა ბავშვობა...

დავიღალე მუნჯ ლანდებთან ხეტიალით,
 დავინყებულ გრძნობებს ვკინძავ სათუთად,
 მოლოდინის ხეს ხავსივით ჩავეჭიდე,
 სათიბები დრომ გულდაგულ შეფუთა.
 მადლობა ღმერთს, სიცოცხლის გზას რომ ველირსე,
 ცათამბჯენსაც გადავუფრენ ამ ფრთებით,
 ზოგჯერ ვგავარ წელათრეულ სიბერეს და...
 თუმცა, მაინც სიყვარულით კვლავ ვთვრები.

ოღონდ ზამთარს დავაღწიო თავი,
 ოღონდ მიწა დავინახო მშრალი,
 შევიყნოსო დაცვარული მოლი,
 თავს დამატყდეს ყვავილების ზვავი.
 ღრუბლის ფთილებს ჩავეხუტო გულში,
 წამხედურად გავეჯიბრო არწივს
 და ზეციდან გაზაფხულის ფერი
 მოვაპნიო ყველა სახლის გასწვრივ.
 გაზაფხული მომენატრა ჩემი...

მზის სხივებთან თამაშ-თამაშ
 ცისარტყელას ავედევენე,
 შემოვსკუპდი წლების ტოტზე,
 წლებო, როგორ ამეკენკეთ!
 ჩემს მდინარეს მივაშურე,
 იქ ბავშვობის კენჭებს ვეძებ,
 შხეფებს „ტანგო“ ვეთამამე,
 დროსთან გატოლება შევძელ.
 ვერ შევწვდები მოსანველად
 ღრუბელს – რძით რომ ავსებს იმ ცას,
 სიბერე ნუ გეგონებათ,
 აბჯარივით გული მიცავს!
 დადინჯებულ ბავშვობის გზას
 მგზავრად ფიქრებს ავადევენებ,
 ცასაც მათრახს გადავკრავ და
 ღრუბლის ფთილებს გავაჭენებ!